




მეცტრე



საყოველ-კვირანო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

8 ივნისი

გ ა მ ო ო ც ე მ ა

№ 23

კვირამდებოთ

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიადება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაურა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრა“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

«თეატრის» რედაქცია გადავიდა არწივნიძის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, სახლი № 110.

შპანასკნელი წარმოდგენის შესახებ

(წერილი რედაქტორთან.)

ბატონო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთი, ვგონებ, განსაკუთრებით სათეატრო ორგანოა და ამიტომ არა მგონია უარი მითხრათ ამ წერილის დაბეჭდვაზედ, მით უფრო, რომ მე მსურს შევეცხო უკანასკნელს ქართულს წარმოდგენას, გამართულს წასრულს კვირას. მე საზოგადოდ დიდად მიყვარს ყოველ გვარი თეატრალური წარმოდგენები და ქართული — ხომ განსაკუთრებით.

უკანასკნელი ქართული წარმოდგენაზედ (ასე აცხადებდნენ აფიშები და გაზეთები) მიდიოდა 5 მოქმედ. დრამა «და ტერეზია» (ანუ მონასტრის ზღუდეთა შორის) ეგ პიესა მეტად დიდი ხნისაა და ყველა ევროპელი სცენები თითქმის აღმა-დაღმა დავლილი აქვს. შემთავრესი ღირსება ამ პიესისა ის არის, რომ ნამდ-

ვილი კაცთ მოყვარული დედა-აზრთან ერთად მას აქვს მშვენიერი გარეგნული ან უკეთ რომ ვსთქვათ ტენიკური აგებულება და ჩემის აზრით უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ეს პიესა არა სტოვებს სცენას და სცენა მას, უეჭველათ იმყოფება ხსენებული გარეგნობაში, თვალ გასართობი სურათში, რომელიც ნება-უნებლიედ იზიდავს მაყურებელს.

„და ტერეზიას“ დადგმა სცენაზედ ჩემის აზრით მჭიდროდ დამოკიდებულია სასცენო ექსესურაზედ, მდიდრულ და იშვიათი მორთულობაზედ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ბანკის თეატრი სასცენო ექსესურებით და სხვა-და-სხვა ტენიკური მორთულობით თავს ვერ მოიწონებს — ეგ ცხადია. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ დიდად წაახდინა ყოველ გვარი შთაბეჭდილება მაყურებლებზედ, მაგრამ ჩემი ბაასი ამაზედ როდია, მე მინდა შევეცხო თვითონ პიესის აღსრულებას, არტისტების თამაშობას.


დავიწყებ თუნდა იმით, რომ წარმოდგენა მეტისმეტად გვიან დაიწეს და ეს არა მგონია ვინმესთვის სასიამოვნო ყოფილიყო, თუმცა ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ამ დავიანებაში არც თეატრის მოთავენი არიან დამნაშავენი, რადგან ჩვენი ხალხი ჯერ იმდენათ გაწურთენილი და წესს არ არის დაჩვეული, რომ სწორედ დანიშნულ დროზედ მოიყაროს თავი თეატრში. ზოგი შეიღს საათს მოდის და ზოგი ცხრას, ათს და ხშირად თერთმეტსაც, ამის გამო თეატრის კასნა ორცეცხლ-შუა იმყოფება: დაიწყო დროზედ წარმო-

გენა—ვაი თუ ხალხი იმდენათ არ მოგროვდა, რომ ხარჯს პასუხი მიესცეო და თუ არ დაიწყო, კიდევ უარესი—ვინც აღრიანად მოსულან ისინი ცხარდებიან და ჰჯავრობენ, რატომ დროზედ არ დაიწყეს წარმოდგენაო... რა თქმა უნდა შეძლებული ანტრეპრენიორი ან ამხანაგობა კასხას არ დახედავდა, მაგრამ ჩვენი დასის ჯიბის ბარაქა რომ ვიცით—ერთის მხრით საპატიებელია წარმოდგენის გვიან დაწყება, თუმცა, ვიმეორებ, რომ არამც და არამც შეწყნარებული არ უნდა იყვეს.

მე არ შევეხები დაწერილებითი გაჩვენას და ლეთის წინაშე არც კი შემიძლიან, მხოლოდ იმას კი ვიტყვი რაზედაც დაჩუმება არ შეიძლება. პირველი, მეორე, მესამე და განსაკუთრებით მეოთხე მოქმედება სასიამოვნოთ გაატარეს, მაგრამ რა თქვას კაცმა მუხუთე მოქმედებაზედ? მაგალითად რა იყო ის უგუნურ-სულელური და ცოტა არ იყოს პირ-ახეული სიცილი, რომელიც ასტენეს მოთამაშებმა. ნუ თუ ჩვენი თეატრის ქურუმები იქამდინ დაბლა სდგანან გონებით და ზნეობით, რომ ასეთი უსუსური და საანბანო კემშარიტება ვერ შეუგნიათ, რომ წარმოდგენის დროს სიცილი არტისტებსაგან ყოველად შეუძლებელია!! საკვირველია, ღმერთმანი, რა ხანია სცენაზედ სთამაშობენ, სცენაზედ დაბერდნენ კიდევ და ის კი ვერ შეუგნიათ, რომ კაცი რომელიც არ ასრულებს თავისი უპირველესი მოვალეობას ის არ უნდა ირიცხებოდეს პატიოსან კაცად. ან იქნება მოვალეობა და სიპატიოსნე ჩვენ არტისტებს სხვა-ნაირად, თავისებურად ესმით? სამწუხაროა!... ასეთი უზრდელი და უღირსი საქციელი მით უფრო არ ეპატიება ისეთს ნიჭიერ არტისტკას, როგორც არის ნატალია გაბუნ—ცაგარლისა, ამ ქებისაგან თავს ბრუ დასხმულმა არტისტკამ ისეთი კისკის და ფთხრუტუნს მოჰყვა, თითქოს იგი სცენაზედ კი არა, სადმე შინაურულათ ახლო ნათესავთ შორის ყოფილ იყო... სხვა რომ არა იყოს-რა, დიდი სირცხვილია... არც ბ. მესხივეი ჩამოურჩა თავის თანამეხელოვნეს და ისეთს ხარხარს მოჰყვა რომ მთელი თეატრი დააფრთხო... ბ. მესხივეს სიცილი კი არა ტირილი ემართა თავისი უღირსი საქციელისათვის;—არტისტი, რომელიც ჩემულობს ჰამლეტის თამაშობას და ჰთამაშობს კიდევ, ათის წლის ბავშვისავით ან გამოყვეყნებული ქაბადუსავით იცინის...! ნეტა ესმის ბ. მესხივეს თავისი საქციელი?? ჩვენ გაგვაკვირვა აგრეთვემ საფაროვისამ ამ არტისტკას მე ვიცნობდი, როგორც სერიოზულ მშრომელსა, რომელიც ფხიზლათ უყურებს თავის მოვალეობას, მაგრამ ამ საღამოს ამ არტისტკასაც

უმტყუნა მორცხობამ... სხვებზედ რაღა ვსთქვამთ ნეტა რა გამოსაშვები იყენენ სცენაზედ ისეთი მოქმედებები, რომლებსაც ჯერ კაცური სიარულიც ვერ უსწავლიათ და ამას რომ ზედ სიცილი დავმატოთ, მაშინ ხომ სულ გარედ გასაძუებელნი იყენენ. კნ. ბ. ავალოვისამ როლი კარგათ იცოდა და ზოგან კარგათაც ჰთამაშობდა, მაგრამ რა გამოვიდა როლის ცოდნით, როდესაც ჩვენ არაფერი არ გავგივია იმისი როლისაგან—ნეტა ვიცოდეთ, საიდუმლოებას რასმეს ხომ არ ამბობდა კნ ავალოვისა, რომ ისე ჩუმად და ყრუდ გაატარა თავისი როლი. არტისტმა თავის ღღეში არ უნდა დაივიწყოს, რომ მას ყურს უგდებს მთელი თეატრი, პარტერი, ლოჯა, გალერეია და სხვანი. ბ. მოხევე ჩვეულებრივად ბრწყინავდა... უხეირო თამაშობით და ხელების შლაში და ფეხების გალაჯ-გამოლაჯებაში ხომ ბადალი არ ჰყვანდა და არც ეყოლება... ბ გუნთას ვურჩევთ, რომ თავისი ჩვეულებრივი ხმით ილაპარაკოს ხოლმე, ეს ერთი, მეორე—პირველ მოქმედებაში მეტად წელ-გამართული იყო და მეოთხეში კი სულ მოხრილი—ნუ თუ, ორსამ საათმა ისე გამოცვალა გრაფი? არა მგონია. მესამე—რუსული სიტყვების გარევა ნეტა სადაური მჭერ-მეტყველებათა?..

ბ. აწყურელს თეოდოროს როლი ცოტათი ვერ შეუგნია—თეოდოროს ცუნცრუკობა მხოლოდ მასკა და არა სახასიათო თვისება; თეოდორო მეტად ჰკვიანი და კეთილ გულის პატრონია—ეს ალბათ დავიწყებია ბ. აწყურელს... მელიქოვის ქალი ორს როლს თამაშობდა მაგრამ, აკაკის არ იყოს «ვერც ერთს მიჰწვდა და მეორესაც მოცდაო»—ვერც ერთი და ვერც მეორე როლი იცოდა... სხვები როლებს არ აფუჭებდნენ, თუმცა არც არა გაუჭეტებიათ-რა. «და ტერეზია» უთუოთ კარგათ გაივლიდა ბოლომდე, რომ უკანასკნელ მოქმედებაში ისეთი კურიოზი არ მოსვლოდათ არტისტებს—ეს კურიოზი ნ. გაბუნ-ცაგარლისამ ხომ სულ დაავიროგინა როლის უცოდინარეობით, მაგალითად: „ურსულინის მონასტრის“ მაგიერ იმან წარმოსთქვა ოსმალოს რწმუნებისაო... ამ ფრაზამ სულ გადარია არტისტები და ხალხიც... მართალია, ორიოდ სიტყვა თვითონ ხალხზედ. მაყურებლები რომ ცოტად მაინც დაკვირვებოდნენ არტისტების საქციელს, სიცილს კი არ მოყვებოდნენ არამედ სტენით და ყიჟინით გაისტუმრებდნენ გაუწვრთნელ და უზრდელ თეატრის ქურუმებს. ბოლოს უნდა ისიც ვსთქვათ რომ კულისებიდან ერთი საშინელი გინება და ყვირილი ისმოდა, მე მაშინათვე ვიცანი ხმაზედ ბ. აბაშიძე, რომელიც პატიოსანის და გულ აფეთქებულის წყრომით ამშვიდებდა პირ-ახეუ-



ლი მოთამაშებებს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს დამწვინდება წრეს გადასული იყო და უფრო აქეზებდა სასაცილოთ არტისტებს და მაყურებლებსაც...

ბოდიშს ვიხდი, ბატონო რედაქტორო, თუ ჩემი წერილი ცოტად გაგრძელდა, მაგრამ თუ თქვენ საქმე გიყვართ, ამ გარემოებამ არ უნდა დაგაბრკოლოთ ჩემი წერილის დასაბეჭდავით თქვენს პატივცემული გაზეთში.

ერთი მაყურებელთაგანი

1886 წელს 3 იანისს.



ლალა.



ცადე წიგნი ისწავლო, გიჩუქე მშობელი ღაღაო, რომ წიგნის ცოდნით გაიცნო — ქვეყანის ხარჯი და ღაღაო.

შენ, ჩემო დამტყუებულო, ზატარა აღმასსანაო, გიუყვარდეს ღაღა მშობელი და მისი ტკბილი ნანაო.

არ დამივიწყო მშობელი, ვიდრე ვარ ქვეყნის ზიარადო; მოკვდე და საფლავს მდებარეც მინასუდეგო სშირადო.

თეატრის მუშა




ახალი ამბები

◆ ჩვენ შევიტყუეთ, რომ ახალ-ქალაქის აფთიასის პატრონს, ბ. ილია აღნაზაშვილს, ქართულს ენაზე შეუდგენია ვრცელი საოჯახო საექიმო. ამ საექიმო წიგნს დასაწყის ჩართული აქვს ვრცელი საექიმო ისტორია, ამის შემდეგ ყოველ წამალის თავის მოკლე ცნობათ აღწერა მისდევს, სიღამაც მკითხველი ტყობილობს იმას, თუ ესა და ეს წამალი ეინ მოიგონა, როდის, რა თვისებისა არის, სად იხმარება, რა სატყვივრისთვის გამოდგება და ან სად იყიდება, რა ფასად? ასეა მთელი წიგნი შედგენილი.

◆ ამ დღეებში ჩვენ ენახეთ ერთი ძველი ანბანი, რომელიც დაბეჭდილი უნდა იყოს ამ სახეყენის დასაწყისში. ამ ანბანში ხმარებულია ანტონ კათოლიკოზისაგან ხმარებული უხმო ასოს გადასატანი და ერთიც კიდევ სხვა ასო, რომელიც ანტონ კათოლიკოზმა შემოიღო და რომელსაც მხოლოდ ის ახმარებდა. ეს პირველი მაგალითია, რომ ანტონის შემოღებულის და დამატებულის ასოებით ქართულს ენაზე წიგნები გვენახოს დაბეჭდილი. შესაძლებელია, რომ ეს წიგნი შედგენილია თვით კათოლიკოზის მოწაფეთ ნამყოფ პირისაგან.

◆ ამ კვირას წვიმები სწორეთ რომ შესანიშნავი იყო, ავჭალის ქუჩაზე ასეთი ტოტი მოვარდა ნიაღვრისა, რომ სწორეთ ფაიტონებსაც აჩერებდა და ხალხი ხომ სულ ვერ ბედავდა შესვლას.



საყმაწვილო წიგნები

II

შალვას თავ-გადასავალი ცახელისა, გამოცემული ელ. ტატიშვილისაგან. ქ. თბილისი 1886 წ. ფასი 20 კ.

არც ერთი თხზულების დაწერა არ არის ასეთი ძნელი და საფრთხილო, როგორც საყმაწვილო ამბების და მოთხრობებისა: განგებ ბავშვებისთვის შედგენილ მოთხრობებში განათლებული მწერალი ცდილობს დაუახლოვდეს ბავშვის ფიქრს, ოცნებობს ბავშურად და არც ერთი სიტყვა დაწერილისა ამას არა სწამს. სახალხო ზღაპრებში და სხვა ნაწარმოებში კი დიდებული და პოეზიით სავსე ბავშვი—ხალხია, რომელიც უამბობს ბავშვებს ბავშურ ფიქრებს და ნახევრობით სწამს კიდევ ეს ფიქრები; საყმაწვილო ხელოვნობითი მწერლობა კი სულ სხვაა.

ახლა ენახოთ ბ. ცახელმა რამდენად დასძლია ეს ზემო აღნიშნული სიძნელე.

ამ წიგნის შინაარსი ძალიან მარტივი და ჩვეულებრივია. პატარა შალვა—ცელქი და დაუდგარი ყველაფერში თავის მოუსვენრობით აწყდება სხვა-დასხვა განსაცდელს და ისჯება ისე როგორც, ყოველი გადამეტებული ცელქი ბავშვი. პირველად შალვა წააწყდება ფუტკრებით სავსე სკას და ებადება ბავშს ცნობის მოყვარეობა გაიგოს—თუ „ის რაა სკაში რომ შეაქეთ ფეხითო?“ დასძლია ცნობის მოყვარეობამ ჩვენი შალვა და აშალა ფუტკარი წკვლით. გაბოროტებული ფუტკრები შემოესივნენ შალვას დასულ

„ვაი-ღელა“ აძახებინეს და სხვა ბევრს რასმე შემთხვევას წააწყდებოდა ჩვენი შალვა, მაგრამ მისი ცელქი ბუნება არ დასცხრებოდა. მინამ უკანასკნელად „მურასთან“ ხუმრობა არ დაზიანებს და არ ჩააფიქრებს. ზოგიერთა შემთხვევა ძალიან მარჯვე შემთხვევა აღებული, გარდა რამდენიმესი—სადაც შალვას თავგადასავალი მხოლოდ უბრალო სიცელქეს წარმოგვიდგენს—რომელიც ყოველი მოზღდილისთვის აბეზარ მოსაყენია; ამისთვისაც შალვა თავისი თავგადასავალით პაწაწინა მკითხველების თვალში არ ჰბადამს არაფერს სიმპათიას, მისი ცელქობით წარმომდგარი სასჯელი არ იწევს ამათში სიბრალოულს, რადგანაც შალვას თავგადასავალი ცნობის მოყვარეობაზე არ არის აშენებული და უბრალო სიცელქეს წარმოგვიდგენს.

რაც შეეხება ლექსის წყობილებას და საზოგადოდ გარეგან ფორმას ბ. ცახელიის სასახლოდ უნდა ითქვას—რომ იგი არ არის ძალდატანებული, აკაკის ლექსივით სუმბუქია, მარტივი და სიცოცხლით სავსე და ვისაც კი სწამს, რომ მშვენიერი პოეტური ერთ და ფორმით დაწერილ ნაწარმოებით უფრო ადვილია სიტყვიერებით, ლექსიკონის დამთავრება, სიმანვილის მოპოება, სიცოცხლე ენისა და გონებითი ძალის და ესტეტიური გრძნობის გამოწვევა, ვინემ მკრთალ-სიმშვენიერეს მოკლებული პროზითა, იგი არ დაზოგავს ერთს აბაზს და ბავშვებს გაახარებს ამ ნაწარმოების წაკითხვით. წიგნი ძალიან სუფთად არის გამოცემული, სურათებით შემკულია და ფასიც ზომიერია.

ს.—ბე

მოგონება.



მასსავს, სადამო მთვარის შუქით განათებული, წყაროს ჩხრიალი და ველები მიძინებული,

მასსავს, ხას ძივას კრთმანკეთსა უაღესესადით, გულის ძეგრასა საცდუმლოთ ჩვენ ვადმურთებდით,

მასსავს ის დრონი, იგი წუთნი სიტკბოებისა,— მასსავს და ცნობა გულის მიკლავს წასრულ წლებისა.

გელის-ცხელი



† ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკი.

ბელეგრამებმა გვაცნობეს, რომ 3 ივნისს, კოსტრომის გუბერნიაში, თავის საკუთარ მამულში, გარდაიცვალა რუსეთის გამოჩენილი მწერალი და მაღალნიჭიერი დრამატურგი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკი. ეს დაუფასებელი მწერალი თითქმის ოც-და-ათ წელიწადზე მეტს შრომობდა რუსულ თეატრისათვის და ამ ხნის განმავლობაში მან დასწერა მრავალი პიესები. ყველა მის პიესებს პირველი ალავი უჭირავსთ რუსული დრამატული მწერლობაში.

ამ ქამად ჩვენ ვერას ვიტყვით, რადგანაც დროცოტა გვქონდა, შემდეგ ნომერში დაწვრილებით გავაცნობთ ჩვენ მკითხველებს განსვენებულის ვინაობას და მის მოღვაწეობას რუსულს ლიტერატურაში. ახლა მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ დაუწყნარებელმა სიკვდილმა მოსტაცა მთელს რუსეთს და მის მწერლობას კიდევ ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი. უკანასკნელმა მისმა პიესამ «He отъ мира всего» შარშან გრიბოედოვის პრემია დაიმსახურა, რომელიც ეძლევა საუკეთესო პიესის დამწერის ავტორს, რუსულ დრამატულ საზოგადოებისაგან.

1883 წ. განსვენებული თბილისში ბრძანდებოდა და ქართველმა საზოგადოებამაც გაიცენა იგი, როცა ჩვენმა დრამატულმა დასმა წარმოდგენა გამართა და მოიწვია ბატ. ოსტროვსკი, ჩვენს ღარიბ რეპერტუარში მხოლოდ სამი პიესა არის შეტანილი ბატ. ოსტროვსკისა — „შემოსავლიანი ადგილი“, „შრომით ნაშოვი პური“ და „ბალზამინოვის ქორწინება.“ ჯერ კიდევ ბევრი მისი პიესები დაგვრჩა გამოუთარგმნელი და იმედია, რომ თუ ყველა არა, ზოგიერთი პიესები მაინც გადმოითარგმნება.

არც ჩვენთვის, ქართველებისათვის იყავი შორეული, ნიჭიერო და პატიოსანო მოღვაწე და ამიტომ საუკუნოდ დარჩება, ქართველობაში, შენი დაუფიწყარი სახელი!

მოხარება

ფრანგული ნათარგმნი

მოთხრობა გუ-დე-შაზანისა.

ინი ბაასობდენ ცეცხლა პირას: ბებერი ექიმი და ახალ-გაზდა ავად მყოფი ქალი. ის იმ ავად-ყოფობით იყო ავად, რომლითაც ხშირად ხდებიან ლამაზი ქალები: სისხლის ნაკლებობა, ნერვები, დაღალულობის ეჭვი, იმ დაღალულობისა, რომელსაც სტლიან ხანდის-ხან ერთის თვის შეკავშირებულნი, აღკრძალულის ნაყოფის სმევის შემდეგ.

ქალი სკამ-ლოგინაზე მისვენებულა, ლაპარაკობდა: «არა ექიმო, მე სრულებით ვერ გამიგია, როგორ უნდა მოატყუოს ცოლმა ქმარი; ესთქვით მას ის არ უყვარს, არ ასრულებს მიცემულს აღთქმას და ფიცს, მაგრამ როგორ ბედავს სხვის ხელში თავის მიცემას! როგორ უმაღავს ამას მთელს ქვეყანას! ან რა სიყვარული შეიძლება სიცრუეში და სილაღატეში?»

ექიმი იცინოდა.

«მაგას რაც შეეხება, ეგ ძალიან ადვილია. გარწმუნებთ, ბერს არ ფიქრობენ მაგ წვრილმანებზე, როცა აღთქმის შერკევას განიძრახვენ. მე დაჯერებული ვარ, რომ მხოლოდ ქალს მაშინ შეუძლია ნამდვილი სიყვარული, როცა ის გამოსცდის ცოლ-ქმრობის სუყველა არეულობას, რომელიც, როგორც ერთი სწავლული ამბობს, არის დღისით ავს გუნებაზე, ყოფნის ღამე ავს გემოვნებაზე შეცვალა. ამაზე ნამდვილი არაფერია. ქალს მხოლოდ ქმრის შერთვის მერე შეუძლია ნამდვილი ჟინიანი სიყვარული და რომ ქალის სახლიან შედარება შემეძლოს მე ვიტყვოდი, მასთან მაშინ შეიძლება დგომა, როცა ქმარი მას გამოაშრობს. ხრიკები-კი სუყველა ქალს ათასობით აქვს და ამათი საშუალობით ხელოვნურად გამოდიან დიდს სიბნელისაგან. ყმაწვილი ქალი-კი უფრო უნდობია...»

«არა, ექიმო, არას დროს არ ფიქრობენ საქმის ჩადენის შემდეგ, როგორ უნდა მოიქცეს ამ-გვარსაშიშარს შემთხვევაში, მით უმეტესად, რომ ქალი უფრო მალე ჰკარგავს თავს მინამ კაცი.

ექიმმა ხელები გაშალა.

«საქმის ჩადენის შემდეგ ლაპარაკობთ? ჩვენ ვაცები სულ სხვანი ვართ, დარიგება საქმის ჩადენის შემდეგ... თქვენ-კი... მოითმინეთ, მე თქვენ ვიამბობთ ერთს ისტორიას, რომელიც ერთს ჩემს კლიენტთაგანს შეემთხვა.

«ეს ამბავი პროვინციის ქალაქში მოხდა.

«ერთს საღამოს, როცა მე პირველის ჩაძინების ღრმა ძილით მეძინა, მომჩვენა ძილში, თითქო ზარებს რეკავდენ, ცეცხლის გაჩენის ნიშნად.

«მაშინათვე გამომეღვიძა: ეს ჩემი კარების ზარა იყო, რომელიც განუწყვეტლად რაწკუნობდა, რადგანაც ჩემი მოსამსახურე ხმას არ სცემდა, მე ჩამოვწიე ჩემს ლოგინთან ბაწარი; კარი მაშინათვე გაიღო და მიძინებულის სახლის სიჩუმე, ნაბიჯის ხმაურობამ დაარღვია; მერე ჟანი შემოვიდა წვრილით ხელში, რომელშიაც აი რა ეწერა; — «მადამ ლილიევი უმორჩილესად სთხოვს ბატონს ექიმს სიმეორის მასთან მისვლას, რაც შეიძლება მალე.

მე რამდენიმე წუთი ვიფიქრე, ბოლოს გადავწყვიტე, რომ ეს ან ნერვებია ან რამე უცები ავადყოფობა, მე კი დაღალული ვიყავი და აი რა ვუპასუხე: «ექიმი სიმეორი ძრიელ შეწუხებულია და სთხოვს მადამ ლილიევრს მიიწვიოს მისი თანა მოძმე ბ. ბონნეტი.»

«ჩავეღწე წვრილი სახვეულში, გადავეცი და დავიძინე.

«ნახევარი საათის შემდეგ კარების ზარა კიდევ არაწკუნდა და შემოსულმა ჟანმა მითხრა: ვილაცა ქალი თუ ვაჟი (არ ვიცი ნამდვილად, რადგანაც ძრიელ იმალემა) ჩქარობს თქვენს ნახვას, ამბობს, რომ საქმე ორის კაცის სიცოცხლეს ენებაო.

«წამოვჯექი. — შემოიყვანეთ.

— ლოგინში ვუცდიდი.

«რალაც შავ მოჩვენებასავით შემოვიდა და როგორც კი ჟანი გავიდა, გამოცხადდა. ეს იყო თვითონ ბერთა ლილიევი, სრულებით ყმაწვილი ქალი, სამის წლის ჯვარ დაწერილი ერთს შეძლებულს ვაჟარზე რომელმაც ის სილამაზისთვის შეირთო.

„საშინელი გაყვითლებული იყო, გაქირვებულის შეყვარებულის სახით; ხელები უკანკალებდა; დააპირა ლაპარაკი, მაგრამ კრინტი ვერ დასძრა, ბოლოს წაიბუტბუტა: «მალე... მალე, — მალე ექიმო... წამოდით... ჩემი... ჩემი საყვარელი ჩემს ოთახში მოკვდა.»

ის გულ შეხუთული შედგა, მერე-კი სთქვა: «ჩემი ქმარი მოვა, ესლა კლუბითგან გამოსულია.»

„მე სრულებით დამავიწყდა, რომ პერანგის ამარა ვიყავი, წამოვხტი და უცბად ჩავეცი; „წელან თქვენ თითონ იყავით?“ ის გაქვავებული იდგა მწუხარებით შეპყრობილი და ბუტბუტებდა; არა... ის ჩემი მოახლე (bonne) იყო... იმან იცის... და პატარა სიჩუმის შემდეგ: „მე დავრჩი... მასთან“ და იმის გულიდგან საშინელი კენესა ამოვარდა, ბოლოს ამოიხენეშა და დაიწყო ტირილი; ის ტიროდა უგონოდ, ქვითინით და ცახცახით ერთი-ორი წუთი; უცბად ცრემლები შესწყდა, თითქო ცეცხლისაგან გამშრალნი და დამშვიდდა: «ჩქარა წავიდეთ» სთქვა მან.

მე მზად ვიყავი, მაგრამ შევეძახე: «დასწყევლოს ღმერთმა, მე ჯერ არ მიბრძანებია ჩემის ეკიპაჟის შებმა». «მე მისი ეკიპაჟი მყავს აქ,» ის გაეხვია თავით ფეხებამდის წამოსასხამში და წავედით.

როცა ის ჩემ გვერდით დაჯდა კარეტაში, იმან უცბად მტაცა ხელი და ხმის კანკალით, რომლის მიზეზი გულის ძგერა იყო, მითხრა: „ოჰ რომ იცოდეთ, რომ იცოდეთ რა ნაირად ვიტანჯები! მე ის მიყვარდა, გაგიყვებით მიყვარდა ეს ექვსი თვეა.“

მე ვკითხე: „ხომ არავის გაუღვიძნია თქვენსა“. მიპასუხა: «არა, არა ვის როზას გარდა, რომელმაც სულ ყველაფერი იცის.»

«ძარბთან გაჩერდით; სახლში სუყველას ეძინა; ჩვენ ჩუმად შევედით და ავედით კიბეზე, საცა მოახლე სანთლით ხელში იჯდა, რადგანაც მკვდართან ყოფნა ვერ გაეგებნა.»

«მე ოთახში შევედი; ის ისე არეული იყო, თითქო შიგ ეჭიდებოდა; არეული, გაქელილი და აქოთებული ლოგინი თითქო ვისმეს უცდიდა; ზეწარი თითქმის ხალიჩამდის ეკიდა; დასველებული ხელსახოცი, რომელიც ყმაწვილი კაცისათვის საფეთქელზე ეფარებინათ მიწაზე ტაშტთან და ჭიქასთან ეგდო და რალაც-ნაირი ძმრის სუნი კაცს გულს უხუთავდა შესვლისათნავე.»

„მკვდარი გულ-აღმა გაქიმული იყო მთელის თავის სიგძით იატაკზე, ოთახის სიგანეზე.“

„მე მიუახლოვდი, გავშინჯე, ხელი მძივსე, თვალები გაფუხილე, ხელები გავუქნიე, მერე მივუბრუნდი ქალებს და უთხარი! „მიშველეთ ლოგინზე შევლო“ და ფრთხილად დავსვენეთ.“

მაშინ მე დაფუგდე ყური გულის ცემას, დავადე სარკე ტუჩებზე და ბოლოს წავიბუტბუტე: „გათაყვებულია, ჩქარა ჩავაცვათ;“ ეს ჩაცმევა საშინელი სანახაზავი იყო.

მე ვიღებდი სათითაოდ მის ასოებს და როგორც თოჯას ისე ვაცმევდი, ქალებისგან მოტანილს ტანისამოსს. წინდები, შარვალი, ჟილეტი ჩავაცვი, მაგრამ ტანს-საცმელი ძნელად რგებდა.

როცა ჩექმების ჩაცმევის დრომ მოატანა, ქალებმა მიუჩოქეს და მე ეუნათებდი, მაგრამ ფენის გასივებულობის გამო ძნელად ეცმევოდა.

როგორც კი ეს საშინელი ჩაცმა გათავდა, მე გავშინჯე მეორედ მიცვალებული და ვსთქვი: «უნდა დავარცხნოთ;» მოახლემ სავარცხელი და ტანისამოსის საწმენდი მოიტანა; რადგანაც ის კანკალებდა და უბურღავდა უნებურის მიხერა მოხერით გრძელს და აწეწილს თმას, მაგრამ ლილივერმა მოჰკიდა ხელი სავარცხელს და ფრთხილად გაუსწორა თმა, თითქო იმითი მას ეალერსებოდა. გაუყო თმა, დავარცხნა წვერი, და დაუგრიხა ნელ-ნელა უღვაშები.

„უცბად დაჰყარა, რაც ხელში ეჭირა, მოჰკიდა ხელი თავის საყვარლის უძრავს თავს, ჩააცქერდა უნუგვმოდ უძრავს სახეში, რომელიც მას აღარ უცინოდა; მეც დაემხრა მას, მოხვია ხელი და გიჟურად ჩაეკონა; ის ჰკოცნიდა მას მოკუმულს ტუჩებზე, დახუჭულს თვალებში, მუბლზე, საფეთქელზე; მერე მიუახლოვდა ყურებს, თითქო კიდევ რისამე მოსმენა შეეძლოთ, უფრო მხურვალედ მოეხვია და ათჯერ გულ საკლავად უთხრა: «მშვიდობით, ძვირფასო!»

სათმა შუალამე დაჰკრა.

მე უცბად გამოვერკვიე: „შუალამეა, ამ დროს კლუბებს ჰკეტვენ, წავიდეთ; ქალბატონო, სიმხნევე!“

ძალი გაიმართა წელში. მე ვსთქვი: «შევიტანოთ სალონში, ჩვენ შეგვიძლია და რა-კი შევიტანოთ მე დავსვამ კანაპზე და ავანთებ ლამპებს.»

ძუჩის კარი გაიღო და უცბად დაიკეტა. ეს ის იყო. დავიძახე: „მალე მომიტანეთ ხელს-სახოცი და ოთახი მიალაგეთ, მალე თუ ღმერთი გწამს! აგერ ბ. ლილივერი შემოდის.“

მე მესმოდა მოახლოვებული ფენის ხმა და კედლებზე ხელების ცაცუნო. მე იმას დავუძახე: «აქეთ მოდით, ჩემო ძვირფასო, ჩვენ უბედურობა შეგვემთხვა.»

ზაკვირებულნი ქმარი, ციგარით პირში გამოჩნდა ოთახში „რა, რა აბმზავია? რა მომხდარა?“

მე მივედი მასთან: „ჩვენ დიდს ვაჭირვებაში ვართ: ზე და ჩემს მეგობარს, რომელმაც თავის ეკიპაჟით მომიყვანა, დაგვიგვიანდა თქვენს ცოლთან ბა-ასში და აი უცბად რა მოუვიდა, ათის საათის აქეთ უგონოთ არის, თუმცა ჩვენ ბევრი ვეცადეთ გონზე მოგვეყვანა; უცხოს დაძახებაც ვერ ვაგებდეთ. მიშველეთ ამის ჩაყვანა; მე ამას თავის სახლში უფრო კარგად მოუვლი.“

ზაკვირებულმა, მაგრამ დაჯერებულმა ქმარმა მოიხსნა ქუდი და მოუჯდა მხარში თავის საუკუნოდ მიძინებულს წინააღმდეგს; მე კი ცხენივით, თითქო ორს ხელნას შუა, შევედი მის ფეხების შორის და კიბე ჩავიარეთ, ეხლა-კი ქალები გვინათებდნენ.

როცა ჩვენ კარებთან მივედით, მე გავასწორე მკვდარი და უთხარა ვითომ და წასაქვებლად, კუჩრის მოსატყუებლად: «წავიდეთ, ჩემო კარგო მეგობარო, არა ფერია, ეხლა ხომ უფრო კარგათ გრძნობთ თავს, არა? გამიგონეთ, ცოტა სიმწნევე, პატარა ძაღლის დატანება და სუყველა გათავდება,» მაგრამ კი ვგრძნობდი, რომ მკვდარი იქცეოდა და ხელიდგან მისხლტებოდა; ვკარი უცბად მხარში ხელი და შევაგდე კარეტაში; მეც თან შევეყე.

შეშინებულმა ქმარმა მკითხა:

„საშიშოა რამეს ხედავთ? მე სიცილით «არა» ვუპასუხე და მის ცოლს შევხედე. მას ხელი კანონიერის ქმრის ხელში ჰქონდა გაყრილი, თვალები-კი კუპეს სიბნელეში მიბჯენოდა. მე მათ ჩამოვართვი ხელი და ვუბრძანე წასვლა. ძნელი იყო გზა, მკვდარი მარჯვენა გვერდზე მაწვა.“

როცა მისას მივედით, მე გამოვაცხადე, რომ მან გზაში დაკარგა გონება. უშველე მისი აყვანა თავის ოთახში და ბოლოს მის სიკვდილიც გავუმეღაწე.

აქ სულ სხვა როლის თამაშობა მომიხდა.

ბოლოს ჩემი საწოლი ისევ მოენახე, მიჯნურების წყევლით.

ექიმი სიცილით გაჩუმდა.

გულ მოსულმა ქალმა ჰკითხა:

«რისთვის მიამბუთ ეგ საშინელი ისტორია?»

ექიმმა მოწიწებით თავი დაუქრა:

«რომ ჩემი სამსახური გაგიწიოთ შემთხვევისათვის.“

ჰ. ვიფიანი.

სახალხო ლექსები.

(შეკრებილი სოსიოსიდან იმერეთში)

1

რუსთველმა სთქვა: თხა ხომ არ ვარ,
რომ სულ გვერდზე გავიკრიჭო.
ეს სოფელი მისთვის მინდა:
გავიცინო, გავიღრიჭო.

2

მიმინოსა შვეერი უფვას,
შეკარდენსა ნადირობა;—
თუ დედასა შვილი უფვას—
ასლა არის სადილობა.

3

ბერი კაცი თვრესო—
ვაჯკაცს ერთი ხვდესო;
ბოკოს რომ სუნი ეტესო—
ღობე-უურეს ემსხვრესო.

4

ვაი დედა, მეშინია,
ვერ ვენდობი ცხენის წყაღსო,
მაძიტატებს და წამიდებს,
შემაცურებს შუა ზღვასო;
დავისწნობი მტრის გულისად,
ვინდა მასხნის მე საწყაღსო.

5

ღმერთმა ისე ავაშენოს,
როგორც შიოს მარანიო;
ბუდელი ჰურით ავიკსოს,
შვი ღვინით მარანიო.

6

ვაი დედა, მეშინია,
ვერ ვენდობი კარამდიო;
შენ ისევე ბოროტი ხარ,
რაც იყავი მანამდიო.

7

უღელი ხარ ვიედი,
უნა ავიზიარო,
მოკსანი—ჰური მოვიდა,
ვერ დავაბზიარო.

8

ბიჭო, ბედისგან დევნილსა
ჩვენ-მას რათ უწევთ მტრობასა,
სიკეთის მხარი მას მივსცეთ,
უფრო შეშვენის მობასა.

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.

ბანსაღებანი

გამოვიდა და ისე იდება

გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში
მეთოდური სახელმძღვანელო.

სამუშაო

ენის

შესასწავლებლად.

შედგენილი

ადიქ. ნათაძისგან

ფასი 20 კაპ.

5—2

ს ტ ა მ ბ ა

მელქიშვილისა.

თფილისში—სასახლის ქუჩ., ზრწრუნისეულ ქან-
ვასლში, ქართული თეატრის ქვემო სათაულში.

იღებს ყოველ გვარს სასტამბო საქმეებს საბე-
ჭდავით: გაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთ-
ვე ყოველ-გვარ ბლანკებს, კვიტანციებს, სჩოტებს,
განცხადებებს, აფიშებს, პირობებს და სხვ.

სისუფთავსე და აღნიშნულ დროსე საქმის
შესრულებასე სტამბა პირობას აძლევს საქმის
მომტანთ.

სტამბა კისრულბს გორეკტურის გასწორებას
და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის
მომტენი ისურვებენ.

„თამარ“ ცხიერად

ისტორიული დრამატიული ჰოემა აბაქისა,

ისე იდება მარჯვის ბიბლიოთეკაში, გოლგოთის
პროსპექტსე, მუსრან-ბატონის სასლში და გრიქროფის
წიგნას მაღაზიაში. ფასი ათი შაურა.

(10—3)


სურათები

ჩვენი ჰოეტებისა და მწერლებისა

აბაქი წამათელი

ილია შამუგაძე

ზა. მკველიანი



მირიანე მსხარე

გიორგი მარსთავი

სამხარე მსხარე

ჩიხბუელ ალექსანდროვის ქალაღსეუდ
შსატვრობა ა. ბერიძისა

ისე იდება გრაქროფის წიგნის მაღაზიაში,
ტუკიის ხილის ყურზე, ზუბალოვის სახლბეში
და ი. საფაროვის ბაკალიენი მაღაზიაში, პრწ-
რუნისეულ ქარვასლაში.

გინც ათს ან მეტს სურათს გამოაწერს, მა-
შინ თითო სურათი 16 კაპ. დაეთობას.